რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელის-მომწერთა
საყურადღებოდ.
ვისაც
ხვედრი ფული
არ შემოუტანია,
იმათ გაზეთის
გზავნა
მოესპობა.

გაზეთი
«ცნობის ფურცელი»
წლის დამლევამდე ღირს
ოთხი |4| მან.
«საქართველოს კალენდრით»



ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, დოლის-მეღიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—60 წ.)

მ. პ. პრესმანი
უსრულებს დავალებას, ვისაც ჰსურს იყიდოს, გაჰყიდოს, დააგიროს, ანუ გადააგიროს მამულები. კონტორას ჰყავს თავისი „ლესნიჩი“, რომელიც შეადგენს მამულების გეგმებს და დააფასებს.
კონტორა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, „მეტროპოლის“ ნომრებში, № 17, ახალის თეატრის პირდაპირ. (20—12)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—138)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(ქუქიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროცასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროცასკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.
(წ.)

მაქვს ატლასსა და აბრეშუმზე ფოტოგრაფიულად გადაღებული ცნობილ და გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები
ბალიშის პირის გადასაკრელი,
ფანჯრების ფარდების მოსართავი,
შორტფელების სურათები და ფართოზე დახატული სურათი.
აბაჟურები შვიდი და ოთხი სურათიანი.
აბრეშუმის ცხვირსახოცები.
წიგნის ჩასანიშნები მწერლების სურათებით.
ვღებულობ აგრეთვე ამ ხელობის შესასწავლებლად შეგირდებს, როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებსა.
დაკვეთა შეიძლება ყველა ზემოდ აღნიშნულ ნივთებისა შემდეგის ადრესით:
ტფილისი, პატარა განჯის ქუჩა № 5.
ა. როდიონოვისა.
(7—1)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

2 ივლისი.

**პრეტორია.** ფოლკსრადმა შეიწყნარა შეთანხმება საპოლიტიკო ხელშეკრულობისა ორნაჟეს რესპუბლიკასთან.

**ოდესა.** ხომალდი „გოგენცოლერნი“ ხვალ ბერლინში წავა. გერმანიის იმპერატორის ჯანმრთელობა საკმაყოფილოა.

**კონსტანტინეპოლი.** დღეს მოხდა ელჩების კრება, რომელმაც სამ საათს გასტანა. კამბონი ხუთშაბათს მიდის აქედგან.

**ლონდონი.** გაზეთს „Times“-ს კონსტანტინეპოლიდგან დეპეშით სწერენ, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა პასუხი არ გასცეს ოსმალეთს, რომელმაც განაცხადა, კრიტის კუნძულზედ ჯარები უნდა გავგზავნოო; იტალიამ პირადად შეუთვალა ოსმალეთს, გირჩევთ კვლავ მოიფიქროდ ეგ თქვენი გარდაწყვეტილებაო.

**პარიზი.** ფელიქს ფორი დაესწრო მირაბოს ხიდის კურთხევას ქალაქის საბჭოს პრეზიდენტმა სოტონმა მადლობა განუცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტს და სთხოვა, გადაეცით რუსეთს საფრანგეთის სატახტო ქალაქის მიერ სურვილი იმპერიის კეთილ დღეობისა.

**კონსტანტინეპოლი.** გუშინ მოხდა მინისტრთა საგანგებო კრება. შემდეგი კრება ელჩებისა მოხდება ხუთშაბათს.

1 ივლისი.

**პეტერბურგი.** (მიღებულია 2 ივლისს) მე 65 ტირაჟში გამოვიდა შემდეგი ბილეთები პირველის სესხისა: ნომერი სერიებისა:

15855, 16469, 11033, 13374, 15491, 16126, 9715, 374, 16311, 2684, 8651, 9849, 141764 (?), 18387, 10217, 11667, 8024, 14288, 9542, 618, 17300, 7095, 175561 (?), 1271, 2790, 14895, 14512, 911, 5465, 935, 2296, 4515, 19607, 5952, 16114, 8009, 4464, 8457, 14304, 1967, 1520, 2929, 17058· 18705, 4908, 4009, 5620, 17752, 15303, 19541, 16875, 14407, 13204, 14539, 14868, 16422, 14463, 2812, 16315, 9569, 751, 9339, 12329, 344, 18858, 17890, 15466, 5366, 16173, 16848, 9560, 11998, 12744, 12711, 2897, 2493, 6290. 9308, 524, 382, 2735, 5110, 10237, 9217, 12229, 11396, 17495, 15447, 7546, 4188, 1404, 15062, 19732, 19233, 1665, 798, 3195, 3301, 9579, 5849, 15958, 4756, 1105, 15851, 4074, 6075, 12632, 17594, 6157, 11200, 13992, 12263, 10988, 106, 3951, 11250, 2750, 1917, 10386, 9654, 19394, 10345, 68, 12403, 8733, 4450, 8614, 3142, 18201, 13779, 17285, 3285, 2260, 11736, 6737, 1856, 4801, 1697’8455, 2703, 19771, 4815, 9231, 17811, 11976, 12469, 9544, 9933, 6545, 2351, 11222, 2262, 3845, 6694, 9096, 13017, 10416, 41, 6667, 17378, 5323, 129, 16029, 11622, 10895, 15313, 452, 5558, 12113, 3561, 17801, 1824, 11392, 15326, 14507, 14942, 741, 5494, 18900, 3014, 3971, 15977, 11875, 4556, 18980, 11888, 12912, 9993, 5355, 18306, 11597, 8799, 7161, 19540, 8888, 5682, 11204, 2513, 12900, 3978, 18108, 831, 12353, 437, 19819, 12875, 15688, 14083, 12115, 17208, 3093, 14447, 18220, 4077, 8454, 2700, 16760, 1561.

**პეტერბურგი.** გირავნობის ფურცლები ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა: 6%—$103^{1}/_{4}$ გაყიდ., 5%—100 გაყიდ. გირავნობის ფურცლები ქუთაისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა: 6%—103 გაყიდ. 5%—100 გაყიდ.

## ახალი ამბავი

მართლ-მადიდებელ ქრისტ. აღმადგენელ საზოგადოებას კავკასიაში ჰყავს თავისი მისსიონერი, სხვათა შორის, საინგილოშიაც, ზაქათლის ოლქში. დღეს ამ მისსიონერის ადგილი უჭირავს ბ. ტ. ივანიცკის. ეს ივანიცკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახლავთ თვითონ ნამდვილი ქართველი—ინგილო და თავისავე სამშობლოში—საინგილოში გაამწესეს, რათა ხელი შეუწყოს მუსულმან ინგილო—ქართველებს გაქრისტიანებაში. აი ამ ბატონს მისსიონერზედ გაზეთს „კავკაზში“, № 173, ვკითხულობთ შემდეგს.

„მისსიონერმა—სკოლების ზედამხედველმა ტ. ივანიცკიმ მიართვა საზოგადოების თავმჯდომარეს, საქართველოს ეგზარხოსს, „დოკლადნაია ზაპისკა“, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საჭიროაო ზაქათალის ოლქში ინგილოთათვის დაარსდეს ცენტრალური სამისიონერო სკოლა, იმგვარი, როგორიც არსებობს ყაზანში თათრებისათვის. საუკეთესო ადგილად ასეთის სკოლისათვის ივანიცკის მიაჩნია სოფ. კაკი. მისსიონერს ივანიცკის, გარდა ამისა, მიაჩნია საჭიროდ შედგენა თათრულის ანბანისა რუსულის ასოებით ყაზანის მისსიონერის ილმინსკის სისტემით; საეკლესიო წიგნები უნდა გადმოღებულ იქმნას ყაზანურ თათრულიდამ აქაურ ხალხის ენაზედ და გავრცელდეს ხალხში: ახლად დინათლულ ინგილოებსა ღ სხვა მუსულმანებში.

„ეს „დოკლადნაია ზაპისკა“ ყოვლად სამღვდელო ვლადიმერმა გადასცა განსახილველად და საკუთარის აზრის გამოსათქმელად „თათბირის“ წევრთ: რექტორს სემინარიისას არხიმანდრიტს სერაფიმეს, ყოფილს მისსიონერს არხიმანდრიტს ლეონიდს და სიონის დეკანოზს ესტატე ელიაშვილს. ესენი არ დასთანხმდნენ ივანიცკის აზრს, რადგან: 1) არა აქვთ-რა საერთო ინგილოსა და თათარს; ინგილო—ქართველია, ქართული წმინდად იცის და ქართული წირვა-ლოცვაც კარგად ესმის; 2) ცენტრალურ სამისიონერო სკოლის მაგიერ, რომელიც არსებითს მოთხოვნილებას არ შეადგენს, უმჯობესია დაარსდეს სტიპენდიები ინგილოებისთვის ტფილისისა და თელავის სასულიერო სასწავლებლებში და 3) ქრისტიანობის გავრცელება ლეკებში, თათრებში და სხვა მუსლიმანებში არ შედის ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების გეგმაში და მაშასადამე აღემატება ტ. ივანიცკის მინდობილობას, რომელსაც დავალებული აქვს მხოლოდ და მხოლოდ მიაქციოს ყურადღება ქართველ-ინგილოებს და მათს მოქრისტიანებას“.

არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ რჩევის წევრთა დადგენილობა.

⁂ **დურგლების საამხანაგო დუქანი.** ქვემოდ მკითხველი მიაქცევს ყურადღებას ბ-ნ გიგო თოიძის წერილს „დურგლების გაჭირვებული მდგომარეობა“. ამავე შინაარსის იყო ადრევ დაბეჭდილი ჩვენსავე გაზეთში წერილი დურგლის მ. ჩოდრიშვილისა. ორივე ავტორი სამართლიანად ბრძანებენ, რომ ტფილისის დურგლები მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან; ორივენი სამართლიანად აღიარებენ, რომ დურგლების გაჭირვება იქიდგან მომდინარეობს, რომ ხელოსანთა და მომხმარებელთა შორის ჩაჩხერილია ჩარჩი, რომელიც ნაკლებ ფასში ყიდულობს საქონელს და ძვირად-კი ჰყიდის. ამ რიგად, მოგება ხელობისა ხელოსანს კი არა, ჩარჩსა რჩება. რასაკვირველია, ამ გარემოებას წამალი და განკურნება უნდა, ხოლო არ თანავუგრძნობთ ჩვენს პატივცემულს ავტორებს, რომ «შუამავალი» იყოს მათი მხსნელი. «შუამავალი» ახალი საქმეა და სულ სხვა საგნებისა და საქონლის ვაჭრობას ადგია, ჯერ სავსებით მას ვერ გასძღოლია და სად შესძლებს შემდეგშიაც-კი, მეტადრე ეხლავე, დურგლების სურვილების განხორციელებას. გარდა ამისა „შუამავალი“ აფართოვებს თავისის მოქმედების ასპარეზს მითი, რომ სოფლებში განყოფილებებს ჰხსნის, ანუ აპირობს გახსნას. ეს კიდევ ხომ ისეთი ახალი და მძიმე ტვირთია, რომ „შუამავალს“ არც დრო, არც მოცალეობა, არც ფული აღარ გადარჩება, დურგლებს ცალკე სადურგლო ნივთების მაღაზია მოუწყოს.

მერე რად დასჭირდათ დურგლებს მუნათი და ხვეწნა „შუამავალთან“, როდესაც სადურგლო ამხანაგობის დაარსება ისე ადვილად მოსახერხებელი საქმეა. სულ მცირედის საამხანაგო თანხით, ვიმეორებთ, დურგლებს შეუძლიანთ გამართონ იმავე „შუამავალის“ გვერდზე თავიანთი საკუთარი საამხანაგო მაღაზია, სადაც ყოველი ამხანაგი—დურგალი დააწყობს თავისს საქონელს, დაადებს ფასს და ფულს მიიღებს შემდეგ გაყიდვისა. რომ წინადვე გაიმართოს ცოტათი ხელი, „ამხანაგობას“ შეეძლება წინადვე მისცეს შემოტანილ ნივთის ღირებულების, ვსთქვათ, მეათე ნაწილი, ანუ მეხუთე. ჩვენ ამ საგანს კვლავ დავუბრუნდებით, ვეცდებით წესდებაც შევიმუშაოთ. უკეთუ დურგლებს მტკიცედა აქვთ გადაწყვეტილი ასეთის საამხანაგო მაღაზიის დაარსება, ვსთხოვთ მობრძანდნენ ჩვენს რედაქციაში კვირას, 6 ივლისს, წესდების შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ **თავ. ივანე მაჩაბლის ავადმყოფობა.** სიამოვნებით ვაუწყებთ ჩვენის გაზეთის მკითხველებს, რომ პატივცემული თავ. ივ. მაჩაბელი ამ ჟამად კარგადა ბრძანდება. ოპერაციის შემდეგ გრილი დღეები დაიჭირა და ამან ძალიან შეუწყო ხელი ავადმყოფის მორჩენას. ჩირქი სრულებით არ გამოსდის; ერთი ფილთა გვერდიდან 2 მკათათვეს გამოუღეს, ორ დანარჩენ ფილთასაც ამ დღეებში გამოუღებენ, რადგან საჭირო აღარ არის. ქირურგი ვოინო, რომელიც აქამდე ყოველ დღე დადიოდა ავადმყოფის სანახავად, ახლა დღე-გამოშვებით მოდის ხოლმე, რადგან შიში არაფრისაო. ექიმი გ. მაღალაშვილი მაინც ყოველ დღე დადის. მადა ავადმყოფს მშვენიერი აქვს, ძილითაც კარგადა სძინავს, ტემპერატურა ნორმალური აქვს. ეს უკანასკნელი დღეებია, ცოტა ხნით გარეთაც გამოჰყავთ. ექიმები ჯერ ნებას არ აძლევენ თვითონ იკითხოს წიგნები ან გაზეთები. ამიტომ, სხვები უკითხავენ გაზეთებსაც და წიგნებსაც. ავადმყოფის ნახვა აქამდე ექიმებისაგან ყველას დაშლილი ჰქონდათ. გუშინ პირველად შეუშვეს ნაცნობები სანახავად. ლაპარაკობს, თუმცა სუსტად; ჯერ ჯანი ნებას არ აძლევს მნახველს დიდხანს ესაუბროს.

ნათესავთ იმედი აქვთ, პატივცემული ივ. მაჩაბელი ამ ერთ კვირაზე ფეხზედაც წამოდგება. ხოლო ამ თვის გასულისათვის სოფელში წაყვანაც შეიძლებაო. აპირებენ სოფ. თამარაშენში (გორის მაზრა) წაიყვანონ.

⁂ **თანხა აფრიკაში წასასვლელად.** „ცნობის ფურცლის“ 142 №-ში დაბეჭდილმა წერილმა აფრიკის ქართველების გამო ჩვენის საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ჩვენს რედაქციას უკვე მოუვიდა 9 მანათი აღნიშნულ წერილში გატარებულ აზრით თანხის შესადგენად. აქვე ვბეჭდავთ ფულის გამომგზავნელთა სახელსა და გვარებსა: შ. დედაბრიშვილი—3 მან., ქალაქის ექიმი ვარლამ ჭიჭინაძე—3 მ. და ალექ. ყიფშიძე—3 მანათი.

⁂ **ყოველ-წლიური შემწეობა სამრევლო სკოლებისათვის.** უმაღლესის ბრძანებით, ამ მიმდინარე 1897 წლიდგან დადგენილია ყოველ წლივ დაენიშნოს ყველა სამრევლო სკოლებს ნახევარი მილიონი მანათი.

⁂ **სახალხო ჰიგიენის სწავლება საქალებო გიმნაზიაში.** როგორც სატახტო გაზეთებში სწერენ, უმაღლესი მთავრობა აპირებს ყველა საქალებო გიმნაზიაში შემოიღოს მოსწავლე ქალებისათვის ჰიგიენის სწავლება.

⁂ **უფროს ნოტარიუსად ტფილისში,** როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, დაინიშნა ნ. ვ. პერსელენი, რომელიც ამ ოთხი წლის წინად სამოსამართლო პალატის მდივნად იყო და მერე გადაყვანილ იქმნა ერევნის საოლქო სასამართლოს წევრად. ბ-ნი პერსელენი ამ დღეებში შეუდგება თავისს ახალ თანამდებობის აღსრულებას.

⁂ **ავლაბრის სამკურნალო** დროებით, ერთის კვირის განმავლობაში, დაკეტილი იქნება, რადგან შენობას შეკეთება უნდა. სამკურნალო დაიკეტება 7 ივლისს და გაიხსნება 14 ივლისს.

⁂ **ბაღის გაშენება ვარდის-უბანში.** ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია, რომ დამდეგის შემოდგომიდგან ვარდის-უბანში გააშენოს ბაღი, ისე, როგორც ამ ექვსიოდე წლის წინად გააშენეს ერევნის მოედანზე („პუშკინს სკვერი“).

## დურგლების გაჭირვებული მდგომარეობა.

1895 წელს „ივერიის“ 160 №-ში დაისტამბა წერილი ვინმე მ. დურგლისა (თუ არა ვცდები, მიხეილ ჩოდრიშვილი უნდა იყოს) სათაურით „ხელოსანთა საყურადღებოდ“.

ამავე სათაურით 1893 წელს „ივერიაშივე“ მეც რამდენიმე წერილი ვუძღვენი ჩვენს მკითხველს საზოგადოებას, მაგრამ ვერც ერთმა ჩემმა წერილმა და ვერც მ. დურგლისამ ვერ მოალბო ვერავის გული.

საბუთიანად სჩივის ავტორი წერილისა, რომ „ვმუშაობთ კვირიდგან კვირამდის, თვიდამ თვემდის, წლიდამ წლობამდის, განუწყვეტლივ ოფლსა ვღვრით დილის ხუთი საათიდგან საღამოს 8—9 საათამდინ, მაგრამ მაინც ვერ დავაღწიეთ ვერაფრით ჩვენს მტანჯველს სიღარიბეს თავი. აღარა აქვს ჩვენს შრომას ფასი, ჩვენის შრომითა და ღვაწლით დღეს მხოლოდ სარგებლობენ მუქთაყლაპია ჩარჩ ვაჭრები“...

მ. დურგალი ურჩევს თავისს მოძმე მუშა ხელოსანთა: „დროა, ძმებო, ჩვენის თავისათვის ვიზრუნოთ, შევადგინოთ ამხანაგობა, მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს, თორემ ცალ-ცალკე მუშაობით გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ვერაფერსა ვხდებითო. მგონი დღეს ყველანი ვხედავთ ჩვენის თვალებით და თუ მალე არ ვუშველეთ ჩვენს თავს, კიდევ დიდხანს დავრჩებით ჩარჩ-ვაჭრების საჭმელ ლუკმად და ჩვენის ოჯახის დასაწიოკებლად. გვეყო, ძმანო, რაც ხანს ისარგებლეს ჩვენის შეუგნებლობით ჩარჩებმა; გვეყო, რაც ხანი გვეძინა, დრო არის ავახილოთ თვალი, ჩავიხედოთ ქვეყნის სარკეში—საქვეყნო სარკეც წიგნებია, გაზეთებია, ვიკითხოთ ხშირად, ამითი უფრო კარგად მივაგნებთ ცხოვრების გზას და კვალს. თუ კითხვით ზოგიერთს საგანს ვერ მივხვდებით, მცოდნე, ნასწავლ კაცებს ვთხოვოთ, შევეხვეწოთ; ბევრია ჩვენთვის გულშემატკივარი, არავინ დაიზარებს ჩვენს დარიგებას, კიდეც გაუხარდება“... ამ იმედიანის ფრაზებით ათავებს ბ. მ. დურგალი თავისს მუდარების წერილსა.

ამის წამკითხველს გული სიამოვნებით გევსება, რომ მ. დურგალი ადრე თუ გვიან მიხვედრია თავიანთ ნაკლს და აღვიძებს მოძმე მუშა-ხელოსნებს. ხოლო გაკვირვებით კითხულობთ: მაშვრალის დურგლის წერილმა მოიპოვა თანამგრძნობი და დამრიგებელი თუ არა?!

რა იქნებოდა, რომ პატივცემულს „ივერიის“ რედაქციას ხმა ამოეღო და თავისი აზრი წარმოეთქვა ამ საგნის შესახებ? ისე, როგორც „ცნობის ფურცელმა“ ჰპედა რჩევა და დარიგებანი „მოსამსახურეთა საზოგადოების“ დაარსების გამო და მით აალაპარაკა ამ საქმის გულ-შემატკივარნი და მისის წყალობით თავისს დროზე ამ საქმეს გულ-შემატკივარნი წარმოთქმულ აზრთა განმხორციელებელნი აღმოუჩნდნენ.

კეთილს აზრს, ბეჭდვითი სიტყვით გამოცხადებულს, ამგვარ საჭირ-ბოროტო საქმეზე, მიკვირს, აგრე გულცივად რად მოეპყრა პატივცემული რედაქცია „ივერიისა“.

მას შემდეგ აგერ მეორე წელიწადი მიდის და განა შესაძლოა მ. დურგლის წრფელი, გულიდგან აღმოთქმული აზრი, კვნესით, გოდებით და ბოლოს მაინც იმედებით დათავებული, დარჩეს „ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა?!

დღეს, როდესაც «მოსამსახურეთა საზოგადოების» დაარსების გამო ყველამ ხმა ამოიღო და კეთილადაც ბოლოვდება, განა თბილელ დურგალთა გაჭირვებულს მდგომარეობას-კი წამალი არ დაედება?

მართალია, მ. დურგალი ამბობს, რომ ჩვენს ხელობას ფასი დააკლდა, ამით ის-კი არ უნდა სთქვას, რომ გასავალი და ბაზარი არა აქვსო, სულაც არა! გასავალი და მოთხოვნილება დღესაც დიდია, მხოლოდ მათს წინ მსვლელობას ის აფერხებს, რომ თავიანთ ნაწარმოებსა და მომხმარ-მყიდველთა შორის ჩავარდნილ-ჩათესლებულა წურბელა ჩარჩი, ჰყიდულობს გაჭირვებულ მაშვრალ ხელოსანთაგან მცირე ფასად ნივთებს და ჰყიდის მომხმარებლებზედ ერთი ორად და მათ-კი (ხელოსნებს), საქმეში ჩაბმულთ და შრომაში გულჩათხრობილთ, იმდენი მოცლა და მოხერხება არა აქვთ უჩარჩოდ იოლად წავიდნენ და ძალა-უნებურად უვარდებიან ხელში საყვლეფ-გასაძარცვათ. სწორედ მომაკვდავ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გაჭირვებულს ხედავდეთ, იგი შველას, დახმარებასა გთხოვდეთ, თქვენ შეგეძლოთ მათი დახმარება (და ისიც იცოდეთ, რომ დახმარებით არა თუ არას დაჰკარგავთ, არამედ იპოვნით კიდეც), მაგრამ ზურგს აქცევდეთ და უყურადღებოდ სტოვებდეთ. სავალდებულოა, რომ სინიდისის წინააღმდეგობაც არ იყოს.

ამ სიტყვებით მივმართავ პატივცემულს სავაჭრო ამხანაგობას „შუამავალს“, ჩემის აზრით, „შუამავალი“ თუ ის ნამდვილი შუამავალია და ხალხის საბედნიეროთ არის დაარსებული და არა პირადის ინტერესებისათვის, მან პირველმა უნდა მოჰკიდოს ხელი ამ კეთილის აზრის აღორძინებას, ამითი იგი დიდს სიმპატიურს საქმეს გაარიგებს და მოიგებს კიდეც, რომ ჩადგებოდეს დურგალ-მწარმოებელთა და მათ განაკეთებ ავეჯეულობათა მომხმარ საზოგადოების შუამავლად. ამით იგი ორსავ მხარეს სარგებლობას მოუტანდა და თვითონაც ირგებდა...

„შუამავალმა“ თუ ეს საქმე შეასრულა, დარწმუნებული ვარ, საქებურად წავა; ამას ერთი თვალ-საჩინო გარემოებაც ხელს უწყობს: „შუამავლის“ სავაჭრო სახლი ისეთ ქუჩაზეა გამართული, სადაც დურგალთა ნაწარმოებ ნივთებსა ჰყიდიან და მთელი ის რიგი სახლის ავეჯეულობათა მოვაჭრეებისაა და მაშასადამე მათთან შეჩვეულს მუშტარს შორის წასვლა აღარ დასჭირდებათ, რომ ჩარჩებს გზა აუარონ და შუამავლის სავაჭროს მიმართონ. ეს გარემოება საქმისა მით უფრო გვამხნევებს და სასოებას გვაძლევს, რომ „შუამავალი“ ცხვირ ზევით არ აიცილებს დურგალთა ასეთს მამობრივს ზრუნვას. ნათქვამია: „ხელი ხელსა ჰბანს და ორივე პირსაო“. „შუამავალმა“ რომ ესე დაავალოს დურგლები, იგინიც, სამაგიეროდ, რაც-კი მათთვის საჭიროებას შეადგენს სახლში თუ ქარხანაში, ყოველისფერს „შუამავალის“ სავაჭრო სახლიდგან დახარჯავენ და მის წევრებად გარდაიქცევიან. საოჯახო საჭიროებანი ყველასათვის ცხადია, მაგრამ საქარხნოთ რამდენი რამ უნდა დურგალს, რომელიც ჩვენში არა კეთდება და სულ უცხოეთიდგან დაბარებულია და რომლის შესაძენად ერთი-ორად მეტს აძლევენ თბილისის დურგლები, მაგალითად, სხვა-და-სხვა იარაღი და მასალა ყოველ დღიურს საჭიროებას შეადგენს ხელოსანთათვის. ამ საქმეს რომ კარგათ ჩაუკვირდეთ და ზედ მიწევნით შევისწავლოთ, პირდაპირ ამ დასკვნას გამოვიყვანთ, რომ „შუამავალის“ პირველი მოვალეობა ამის აღორძინება.

დასასრულ ვუსურვებთ მ. დურგალს, რომ მისი სიტყვებით გაღვიძებულ მოძმე მუშა ხელოსნებს ქვეყნიურ სარკეში ჩაეხედნოთ, ეცნოთ თავიანთი ჩამორჩენა და მომზადებულიყვნენ საასპარეზოდ. ვისურვებ სულით და გულით, რომ „შუამავალს“ თავისი მოქმედების ფარგალი გაეგანიერებინოს, დაჩაგრულ მოძმეთ წრეში შემოსაერთებლად.

გიგო თოიძე.

* * *

⁂ **გ. ტატიშვილის ალბომი.** ჩვენს ცნობილს გრავიორს ბ-ნს გრ. ტატიშვილს შეუდგენია ალბომი ქართულის ასოებისა სითვით კერვისათვის. სხვათა შორის, ამ ალბომის შედგენის დროს ბ-ნს ტატიშვილს უხელმძღვანელნია ცნობილის ქართულის მწიგნობარის და კალიგრაფოსის ტარასი არხიმანტრიტის (მესხიშვილის) ასოებითა. ბ-ნი ტატიშვილი ეს ათი წელიწადი მუშაობს ამ ალბომის შედგენისათვის და, ხანგრძლივის შრომის შემდეგ, ძლივს დაამთავრა მხოლოდ ხატვა. ანბანი ოთხნაირია. ყველა საუცხოვო სურათებით არის შემკული. ჩვენის ხელოვნებისათვის ეს ალბომი მართლა და განძად უნდა ჩაითვალოს. როგორცა ვსთქვით, ბ-ნმა ტატიშვილმა ჯერ მხოლოდ ხატვა (რაც ყველაზე ძნელი იყო) დაასრულა ალბომისა. ახლა ამოჭრა უნდა ხეზე. ხელმოკლეობა ხელს უშლის პატივცემულს მუშაკს ჩვენს მეოჯახე ქალებს ეს ალბომი მალე მიაწოდოს. სულ-კი ოც-და-სამი თუმანი რომ მქონდეს, შემოგვჩივლა ბ-ნმი ტატიშვილმა,—1200 მანათად ერთის წლის განმავლობაში დავბეჭდავო. იმედი გვაქვს, ჩვენში გამოჩნდება ვინმე, ჩვენებურის ხელოვნების მოყვარე, რომელიც ბანს გრ. ტატიშვილს მიეშველება და ალბომს დააბეჭდევინებს.

⁂ **სიცხეები ტფილისში.** თიბათვის გრილის დღეების შემდეგ საშინელი სიცხეები დაიჭირა. მკათათვემ საშინელის სიცხით შემოსდგა ფეხი. ვისაც-კი შეეძლო, სულ აგარაკად გაიხვეტნენ. ხელ-მოკლე ხალხს, ვინც იძულებულნი არიან აქ დარჩნენ, მხოლოდ კვირა-უქმეებით ეძლევათ შვება. ესენი ქალაქის გარშემო მდებარე სოფლებში მიეშურებიან. შაბათობით ვაგონებში ტევა აღარ არის ხოლმე.

⁂ **ფოთი. კავსაძის კონცერტი.** 25 თიბათვეს ბ-ნი კავსაძე გვესტუმრა თავისის ხოროთი და დიდათაც ასიამოვნა ფოთის საზოგადოება. ბ-ნ კავსაძეს ძალიან ტკბილი და ძალდაუტანებელი ხმა აქვს და თვით იმის თანაშემწეებსაც მწყობრი ხმები აქვთ. „არაგვისპირული“, „ოროველა“, „ქონა“ და „მკის დროს“ ისე გრძნობით იმღერეს, რომ ადამიანს ერთსა და იმავე დროს ტირილიც მოსდის და ღიმილიც... სწორედ კაცის გულის აღმგზნებელი იყო, როდესაც ბ-ნი კავსაძე ტკბილად, აუჩქარებლად გულის საკვნესად ჩაარაკრაკებდა ხოლმე. კონცერტი კლუბის დარბაზში იყო გამართული; ხალხი ბლომად დაესწრო; რამდენჯერმე გაამეორებინეს ზოგიერთი სიმღერები. „ვაშას“ ძახილს აღარა ჰქონდა დასასრული. ღმერთმა ჰქნას, რომ ეს ალტაცება დროებითი არა ყოფილიყოს არც ბ-ნ კავსაძისთვის და არც ხალხისთვის. ვისურვოთ, რომ ფესვი გაედგას ამ ფრიად სასარგებლო საქმეს ჩვენში.

ნატო.

⁂ **ოზურგეთი. სამოქალაქო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი.** წელს სწავლა დაამთავრა სამოქალაქო სამ-კლასიან სკოლაში 23 ყმაწვილმა; მათ შორის ერთი რუსია და დანარჩენი 22 ქართველები: ივ. ახალაძე, ს. ბაქუნაიშვილი, გ. ვადაჭკორია, ივ. ღლონტი, მათე ღლონტი, თეოფ. ღლონტი, იოს. ძიძიგური, ზ. კალანდაძე, გ. კვირკველია, ბიკ. კვაჭაძე, იასე ქორიძე, ალ. მიტაიშვილი, რ. ნინიძე, ანიფ. რამიშვილი, კ. რამიშვილი, ბარ. სურგულაძე, გ. ურუშაძე, სამ. ხუხუნაიშვილი, ივ. ცომაია, მარ. ჩახვაძე, იაგ. შარაშენიძე, ვ. ჟღენტი და ნ. ზავადოვსკი.

⁂ **ს. დისევი** (ქართლი). **ავაზაკების თავ-გასულობა.** დაილოცა ღვთის სამართალი, ყოველი სულდგმული სიხარულით მოელის გაზაფხულს და ზაფხულს, მაგრამ ჩვენ-კი საწყალ დისეველებს სულაც არ გვიხარიან: გაიფოთლება ტყე და ვაი ჩვენს უბედურ თავსა, ვეღარ ავდივართ ამდენ შიშს და ვაივაგლახსა. სწორედ არის მოხსენებული ძველებური თქმა: „მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო“. სწორედ ასეა ამ ოსების ამბავიც, იქმნება ისე ყაჩაღები არა, მაგრამ იმათის სახელით სხვებიც ბევრი უფლებობს. 27 თიბათვეს მოუვიდა წერილი მღვდელს გაბრიელ ოქროპირიძეს და მისს შვილს მღვდელ მ. ბესარიონს, ილიკო ფუხაშვილისაგან და გაბრიელ გიგოლაშვილისაგან, რომლებიც იწერებოდნენ რომ, „ჩაფრუპი არას გიშველიან და ფულს ნუ ხარჯავთ, ჩვენ აღარა დაგვრჩება-რაო“. გარდა ამისა, იწერებოდნენ მუქარას. ეს წერილი გამოატანეს სოფლის პაწია მწყემსს და გასამრჯელო ერთი შაური უწყალობეს თან კიდეც დაჰპირდნენ: „თუ ხვალ ამბავს ამოგვიტან, ერთს თეთრს აბაზს გაჩუქებთო, ისეთს, რომ სულ რძე გასდიოდესო“. რასაკვირველია, ჩვენც მოვემზადეთ და საზიზღარ სტუმრებს მოუთმენლად მოველოდით, მაგრამ შიშით და თავიანთ ქალაჩუნაობით ვეღარ ჩამობედეს. იმ საღამოსვე ეს ამბავი ვაცნობეთ უ. მეჯვრისხევის ბოქაულს ივანე პ—ძეს მგალობლიშვილს, რომელიც იმავე ღამეს მკვირცხლად მობრძანდა მოსაშველებლად თავისის ჩაფრებით. მეორე დღეს მამაცურად დაუარა მთელს ტყეს და ოსებს, მაგრამ რას იზამ! რა ჰქმნას საწყალმა პოლიციამ? ტყეში რა გააწყოს?

29 ივნისს იპოვნეს წყლის პირზე ავაზაკებისაგან მოწერილი წერილი, რომელშიაც ლანძღავდნენ უ. ბოქაულს. 30 ივნისს, დილით, ადგომის უმალ ვნახეთ წერილი მღვდლის გაბრიელ ოქროპირიძის გალავნის კედელზედ დადებული, რომელშიაც იწერებოდა ვანო კახიშვილი. შიგ ლანძღვა წავიკითხეთ, ჯერ ყარაულებთან, ე. ი. სინო ნუკრაძესთან, ვანო თავურთან და გიორგი ოქროპირიძესთან და აგრეთვე ლანძღვა მეჯვრისხევის ბოქაულთან. ძალიან სასტიკად ეპყრობა მეჯვრისხევის ბოქაული ბ-ნი მგალობლიშვილი და ძალიანაც სცდილობს და სწადიან მათთან შეხვედრა, მაგრამ სად და როგორ! არ ვიცით, ჯერ კიდევ როგორ გარდასწყდება ჩვენი ბედი, უეჭველია ავაზაკები, ისე არ დაგვტოვებენ და გვნახავენ, მაგრამ ჩვენც მეხივით დავხვდებით და ჩვენი ბედიც გადასწყდება. 27 ივნისს, ს. ფლავში ეკკლესიასთან, საღამოს ჟამზედ გაძარცვეს ვაჭარი ურია და ხუთი თუმანი წაართვეს.

სოფ. დიცში საღამოთი დაეცნენ მღვდელს ელისე კვანჭახაძეს; წაიღეს რაც რამე ებადა და თვითონ-კი ორგან დასჭრეს ხანჯლით ბარძაყში. დასჭრეს აგრეთვე ერთი გლეხ-კაციც, რომელიც მიშველებოდა ხმლით. დაჭრილები ცხინვალის ექიმთან წაიყვანეს, ცხინვალის ბაქაული გადავიდა, შეიტყო ყოველი მათი გარემოება და ისევე თავის ბინაზე დაბრუნდა.

საშა ოქროპირიძე.

⁂ **ქსნის ხეობა.** აქაური ცხელ-ცხელი ამბავი. **გაჭირების თავგასულობა.** ახალ-გორელი ვაჭრები ეხლა „ფანცი-ფუნცობენ“. ზოგ-ზოგი მათგანნი თაგვებისაგან ამ ზამთრით დაჭმულ ტომრებს აკონკებენ და თანაც ერთმანერთს გადასძახიან:—ყოჩაღ, „აზარუაჯან“, კერე, კერე ტომრები, თუ მოვიგებთ რასმე, წრეულ მოვიგებთ!— ყველა მხრიდგან შიმშილობა გაისმის-კოდი პური ხუთ-ექვს-მანეთზედ ავა-აი!—

„აზარუა“ უკმაყოფილების ნიშნად ცხვირს მაღლა იშვერს და უპასუხებს: „ზაქარია ნარუშ ბალს“;— „ჯერ კიდევ ვინ იცის! მოგება, ან ჰო-ან არა; ამოდელა საქონელი ნისიათ გამიცია და ჯერ „კაპიკი“ არ ვიცი! „ლომისხეველებმა“ თუმანი ორ-კოდ პურად გამომართვეს, ვინ იცის, რა ნაგავს მომაყრიან: კოდ-ნახევარი ძლივს დადგება. კოკა ტკბილი დამიკვეთნია სამ მანეთად და შემოდგომაზედ შავდი მანეთი ძლივს ელირება. ვთქვათ, ეს კიდევ მოგებაა, რადგან ღვ ნოთ ცხრად—ან თუმნად გავყიდი, ერთი სამ-ბა მომწონს, მაგრამ ჯაფა! ოფლს არ აფასებ? არ მომიკვდეს „ჩვენი იაგორა“—წელშილა ვარ გადაწყვეტილი მეტი ტკბილების და პურის წყვით. ხეირი გაცვლა-გამოცვლაშია: აიღებ ერთ ფუთ მარილს, 60 კაპეიკად ღირებულს, მისცემ გამოართმევ ერთ ფუთ ყველს-6 მანეთის ღირებულს—მოგება ამასა ჰქვია, არც ჯაფა, არც წელის ტკივილი“!..

—**ცრუ ცნობა.** ვიღაცას უცნობებია გაზეთებისთვის მუხრანში წითელით ავათმყოფი 100 იყო და ორი მოკვდაო. ოძისში კი 125 და ხუთი მოკვდაო. ეს სიცრუეა. ოძისში 80 კომლია და მუხრანში 800 კომლი, მაშადამე მუხრანში მეტი იქნებოდა ავათმყოფი და მეტიც მოკვდებოდა.

—**ექიმობა ოძისში.** ექიმი და ფერშლები ეხლა დიდ ყურადღებას გვაქცევენ და რამდენჯერმე ჩამოგვიარეს. იმედია, მომავალში უზრუნველ ყოფილნი შევიქნებით, რადგან ექიმებმა გზა ისწავლეს. აქამდე ძლიერ გვერიდებოდნენ, ეხლა კი, ღვთის და ექიმის წყალობით, გადამდები სენისა არ გვეშინია.

—**ღმერთმა ადღერძელოს** ექიმი. ახმაჯში სახადით ერთის მეტი არ მომკვდარა, რადგან მოვერიდენით. ექიმი ბრძანდებოდა აქაც და დაგვარიგა: როცა სენი რამ გაჩნდება, ან ავათ ვინმე გეყოლებათ, უნდა მაცნობოთ ავათმყოფს, ან თავ-შესაფარში წაიყვანოთ მოსარჩენათ, ან სახლში გიწამლებთ უფასოდ. ჩემმა ფერშლებმა თუ გაბედონ რისამე გამორთმევა—მითხარით—ძაან „შევთურქამო“, ღმერთმა ადღეგრძელოს ექიმი—აგრე თუ გვიპატრონა, რა გვიჭირს.

—**გაუტეხაობა.** ახალდაბა და ბეჟანტყე ტყუპები არიან. ოსები მოსახლობენ და ვერავინ გასტეხამს. ამბობენ, რომ ნამეტან მოხელეებისაგან გამოძიების დროს პირის შეკვრა ვიცითო: არც ავაზაკს გავცემთ და არც „სახადს“. განა მაგისთანა ამბები არ გვიცდია! „ზეკუციას“ ჩაგვიყენებენ და რაზედ ავიტკიოთ აუტკივარი თავიო.

—**კეთილი კაცი.** ირტოზაში ვიღაცა რუსი მოვიდა—ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი! მანამ ირტოზის მამული ჩვენი მებატონის ხელში იყო, კინაღამ შიმშილით დავიხოცენით. ეხლა ჩვენ ჯიბეს ჩხრიალი გაუდის: დღე მუდამ მის კარზედ ვმუშაობთ და ჩვენი ოფლით—ლუკმას ვშოულობთ ამბობენ, „მოსული“ აბრეშუმის ქარხანასა მართავსო, ავშენდებით სწორედ. აბრეშუმის ჭიისთვის საფურცლე თუთას ბევრს გავყიდით, რომელიც აქამდე უქმად გვეყარა.

—**ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავს.** ს. მონასტერში თევზის ნადირობის ამინდია, რადგან „ყველის ტბის“ ყინული ჩატყდა და ქსანიც აიმღვრა. იქაურები მარჯვეთ ისვრიან ბადეს და ამოაქვთ: ორაგული, ფიჩხული, კაპუეტი, რომლებსაც მონასტრის დუქნებში ნახევართუნგ ღვინოზე ჰყიდიან, თითო ორაგული ხუთი მანეთი ღირს და ამ უსინდისო ზოგიერთ ვაჭრებს არცკი რცხვენიათ ხალხის ამ გვარი მოტყუება. ქართული ანდაზა მაინც გაიხსენონ, „ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო“.

—**მშვენიერი დარიგება.** ს. იკოთი ქედანივით ბოლოზედ არის მიგდებული და ამისათვის უკანასკნელი სიტყვა იმას ეკუთვნის. აქ ღვინო ახალ მოსავლამდე საკმაოა და არც შარშანდელივით მჟავეა. ვენაცვალეთ ჩვენ ჰკუის კოლოფს—კაი მაგალითს და დარიგებას გვაძლევს: „ყველა ყველა და ღვინოს ნუ დავზოგამთო. თუ შემოგველევა, ახალგორში „დავერია“ გვაქვს—ვიყიდოთ და წლამდე ვსვათო. მართალია, დუქნის ღვინო გემრიელიცაა და ქეიფიანიც...

—**ადრეული მკა-კალოობა.** ქსნის ხეობის მინდვრის სოფლებში გაცხარებული მკაა ქერებისა, რადგან ხალხი უპურობით შეწუხდა—ადრეული კალოობიც გახშირდა.

ცხრა ძმელი.

⁂ **სამტრედია** (იმერეთი). **აბრეშუმობაზედ დიდი შრომა და იაფად დაკარგვა. სასარგებლო საშუალებანი.** ჩვენებური სოფლელები ეწევიან აბრეშუმობას, შრომობენ შეძლებისა და გვარად და სარგებლობას-კი ცოტას ვხედავთ. თუმცა და აქეთკენ დაარსდა ამხანაგობები, მაგალითად, ს. კუხში, ლანჩხუთში და სხვ., მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს საჭიროებას, რადგანაც მათი (უკვე დაარსებულ ამხანაგობით) ყველანი ვერ სარგებლობენ; ზოგი სიღარიბის გამო ვერ იღებს მონაწილეობას მასში და ზოგი სიშორის გამო დაშორებულნი, თითო ორ-ორ შაურს გირვანქაზედ დაკლებას ისურვებენ, ოღონდ იქვე გაყიდოს და „ამხანაგობაში“-კი ძნელება წაღება. ამ ნაირათ სარგებლობენ აგენტები და მათი ჩარჩები. უკანასკნელნი დადიან სოფელ-სოფელ და ეუბნებიან ხალხს, რომ ახლა პარკს ძრიელ მცირე ფასი აქვსო და ყიდულობენ, როგორც მათ, ჩარჩებს ნებავსთ. თუ ბაზარში გაიტანეს პარკი—„მკვდარს სამარეზედ რომ მოიტანებენ, უეჭველია, იქ უნდა დაასაფლაონ“, იმისი არ იყოს, რიგიან ფასს რომ არავინ შეაძლევს, „ნიორთა ნაქურჩალათ ჰყიდიან“. ამ ნაკლის ასაცილებლათ, ჩემის აზრით, შემდეგი წყობილობაა საჭირო, ყოველ სოფელში დაარსდეს, „ამხანაგობა“, რომლის მიუცილებელი საჭიროება იქნება: ერთი ყაზარმა პარკის გასაშრობათ და ერთი ჭური ჭიების დასახრჩობათ, რომლებსაც დასჭირდება, ძალიან დიდი, 500 მანათი, ისიც მხოლოდ პირველ წელიწადს. „ამხანაგობა“ (შემდგარი მეაბრეშუმეთაგან) ამოირჩევს საიმედო პირებს, რომლებსაც შეეძლებათ საიმედო თესლის გამოწერა და სოფლებში დარიგება, რაც შეიძლება იაფათ და სხვა საჭიროების თავის გართმევა. „ამხანაგობის“ გამგედ საჭირო არ არის დიდი ნასწავლი კაცი; მხოლოდ უნდა იცოდეს „დიდი ამხანაგობის“ დარიგებანი. თავიანთ ნაღვაწს სოფლელნი მიიტანებენ „ამხანაგობაში“, სადაც იქნება პატიოსნური ანგარიშის გასწორება და არა ღალატი და მოტყუილება. ფასი ამ ღარიბ ამხანაგობას იგივე შეუძლია გასცეს, რასაც დიდი ამხანაგობა იძლევა. ამ გვარად წელიწადში, თუ მეტი არა, ასი თუმანი მაინც მოიგება. ამითი თვითონ სოფლელნიც მეტს მიიღებენ ფულს და მათსავე საკეთილოდ შეუძლიათ „ამხანაგობაში“ მოგებული ფული მოახმარონ სხვა-და-სხვა კეთილ საქმეებს: ეკკლესიას, სკოლას და სხვ.

კარგი იქნება, რომ სოფლელებში გავლენიანი პირები მოინდომებდნენ ამ ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო საქმის განხორციელებას.

ალექსანდრე მირიანოვი.

⁂ **ლანჩხუთი** (გურია). **სიმართლის აღდგენა.** „ცნობის ფურცლის“ მე-184-№-ში (ეს პასუხი დამიგვიანდა იმის გამო, რომ რა სიმართლესაც უმტყუვნა ლანჩხუთელ კორესპონდენტმა, იმ სიმართლეს, მეგონა, აღადგენდა ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს დღევანდელი გამგეობა და ვუცადე მათს პასუხს, რომელიც დღესაც არა ჩანს) იყო წერილი დაბა ლანჩხუთიდგან, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგს: „...ლანჩხუთს ეღირსა სამკითხველო-ბიბლიოთეკა 1894 წ. პირველ ორ წელს სამკითხველოს ვერაფერი წინ-სვლა ეტყობოდა, თუმცა შემოწირულება ახლანდელზე ერთი-ორად მეტი იყო. ეს ერთი წელიწადია ჩვენი სამკითხველო სასიამოვნოდ მოეწყო, რაც მისი მართვა და გამგეობა გადაეცა სამს ახლად არჩეულს პირს... შეისყიდეს სახლი, რომელიც პირველ დამაარსებელს განგებ სამკითხველოსთვის გაეკეთებინა; თუმცა ეს სახლი ზარალის მეტი არაფერი სარგებლობაა... და მესამედ ფასადაც ვერ გავყიდით... არც სამკითხველოსთვის არის გამოსადეგი, რადგან პატარაა და სამი-ოთხი კაცის მეტს ვერ იტევს“... რადგან პირველი დამაარსებელი ლანჩხუთის უფასო სამკითხველოსი მე გახლავარ და ეს უმართლო შოლტის ცემაც ჩემკენ არის მომართული სრულიად დაუმსახურებლად, ამიტომ საჭიროთ ვხედავ ავხსნა სიმართლე, რომელსაც თვალს არიდებს ლანჩხუთელი კორესპონდენტი.

მე, უსწავლელმა კაცმა, კეთილ აზრთა გავლენის ქვეშ, მოვისურვე

ჩემის შრომით და სხვების დახმარებით გამეხსნა ლანჩხუთში უფასო სამკითხველო იმ დროს, როცა სამკითხველოს მნიშვნელობა ძალიან ბევრს ნაკლებად ჰქონდა შეგნებული და გავხსენი კიდევაც 1893 წ. და არა 1894 წელს, როგორც ამბობს კორესპონდენტი. მოვეწყვეთ იმდენად, რამოენადაც ამის ნებას გვაძლევდა შეძლება და გარეშე თანაგრძნობა. თუ სამკითხველოს „პირველ ორ წელს არაფერი წინ-სვლა არ ეტყობოდა, თუმცა შეწირულება ახლანდელზე ერთი-ორად მეტი იყო“, როგორც ამბობს კორესპონდენტი, აქედან ის გამოდის, რომ დამაარსებელს თავის საჭიროებისთვის მოუხმარია შეწირულებანი და სამკითხველო-კი უნუგეშოდ დაუგდია. გავარჩიოთ, რამდენად მოკლებულია ესეთი მსჯელობა სიმართლეს და ჭეშმარიტებასაც. მე ვეკითხები ავტორს: ვისი შემოწირულება დაიკარგა და არ გამოცხადებულა გაზეთში, ვისი შემწეობა არ ყოფილა შეტანილი შემოწირულებათა სიაში, სადაც თვით შემწირველი აწერს ხელს და რა შემოწირულებანიც უკლებლივ გადაეცა სამკითხველოს გამგეობას? დამისახელეთ თუნდ ერთი.

რა გასაკვირია, რომ ლანჩხუთის სამკითხველო ამ უკანასკნელ ხანებში უფრო წავიდა წინ, ვიდრე დაარსების პირველ ხანებში? ამას გარდა, მე ერთი კაცი ვიყავი და პირველ ორ წელს ეს ერთი კაცი ზრუნავდა თვით-არსებობისათვისაც და სამკითხველოს კეთილდღეობისთვისაც. დღეს-კი სამკითხველოს სამი კაცი პატრონობს, რომელთაც უფრო მეტი დრო შეუძლიანთ შესწირონ სამკითხველოს საქმეს, უფრო მეტი იშრომონ მისთვის, უფრო მეტი იფიქრონ მასზე და უფრო უკეთესადაც გაუკვლიონ გზა, რადგან ჩემზე მეტი ესმისთ და მეტიც მოეთხოვებათ. როგორა გგონიათ: დაწყობილი და მზარეული საქმის გაძღოლა უფრო ადვილია, თუ გამოსაწყობი საქმის კეთება და ფეხზე დაყენება. სანამ სამკითხველო დასაარსებელი იყო, მანამ ის მეტ ხარჯს თხოულობდა, რომ არაფრისაგან რამე გაჩენილიყო. დღეს თუ რამეა ლანჩხუთის სამკითხველო, ეს იმიტომ რომ, პირველ ორ წელიწადს მთელი სამასი მანათის წიგნები და ნივთები შეიძინა და თავის საჭირო დონეზე დადგა. დღეს-კი საქმის გაძღოლა ლაა საჭირო. რა უკვირს აქ ლანჩხუთელ კორესპონდენტს?!.

რაც შეეხება სახლის სიპატარავეს, მაშინ ისიც დიდი იყო, რადგან ბევრი არავინ ატეხდა თავს და დღეს თუ გეპატარავებათ და გამოსაცვლელად გაქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნილება გაფართოვებია სამკიხველოს და ახალი გამგენი, იმედია, ეცდებიან დააკმაყოფილონ. ხოლო თუ ჩემგან გამოყიდული სახლი მესამედ ფასადაც არ გავა დღეს, და მისი ყიდვა საზარალო შეგექნათ, ეს რა ჩემი ბრალია. კრებამ დაადგინა, შეეძინათ ჩემგან ის სახლი, კრებამვე გადასწყვიტა ფასის რაოდენობა და მეც დავთანხმდი. დღეს-კი მესამედ ფასადაც თუ არ გავა, აი, რატომ: ჯერ ერთი, რომ სახლი ფიცრულია და აგერ ოთხი-ხუთი წლის აშენებულია, მეორე, როგორც თქვენ თვითონაც ამბობთ, „განგებ სამკითხველოსთვის“ არის აშენებული და სადგომათ არვის არგია, მაშ მუშტარიც ნაკლები ეყოლება. ნუ თუ ესენი სამკითხველოს დამაარსებელის ბრალია? მაგრამ არა, ბ. ლანჩხუთელ კორესპონდენტს რომ წერის მასალა არ შემოკლებოდა, დარწმუნებული ვარ, ჩემს გაწკეპლვას და ისიც დაუმსახურებლად, არ შეუდგებოდა, რადგან რაც ვთქვი, მასაც კარგად უნდა ესმოდეს და ჩემგან განმეორება მეტიც იყო.

ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს პირველ დამაარსებელი შალიკო ივანეს ძე ცინცაძე.

⁂ **დ. აბაშა** (სამეგრელო). **შესაბრალისი მოხუცი.** ჩვენი დაბის მახლობლად სახლობს ერთი ღრმად მოხუცებული კაცი გვარად კ—ვა. მოხუცებულობის მიზეზით ამ უკანასკნელ ხანებში ჭკუამ უსუსტა; დაჩვეულმან ბაზრის ბიჭებთან ხუმრობას, თანდათან უფრო მიეჩვია, ასე, რომ საწყალი, დილას ადგება თუ არა, პირდაპირ ბაზარში მიეშურება. შემოსვლისთანავე ბაზრის ბიჭბუჭები წინ ეგებებიან და ულოცავენ მოხუცს მშვიდობით ჩამობრძანებას. მოხუციც ძლიერ კმაყოფილი რჩება ამ გვარის დარბაისლურის მიღებით; ხოლო ბოლოს-კი საქმე სხვანაირად დატრიალდება ხოლმე: მოხუცს სკამზე დასმენ, ორივე ფეხებს—სკამის ფეხებზე ბაწრით მიუბამენ, ზოგი იმასაც არ ჯერდება, ტანისამოსს სკამზე ლურსმნით მიუჭედავს—უნდა ნახოთ რა სიფრთხილით ასრულებენ ამ უგვანო მასხრობას. როცა მოხუცი დაბმული კარგად იქნება მიკრული სკამზე, ერთი იმათგანი ეტყვის—ადექი. მოხუცი, დააპირებს თუ არა წამოდგომას—ცხვირ-პირით ძირს დაეცემა და საცოდავად მორთავს ღრიალს და წყევლა-კრულვით იხსენიებს თავისს მტარვალებს და ასე და ამნაირად ალამებს თავის მწარე სიცოცხლეს დილიდან საღამომდე. არ იფიქროთ, რომ მარტო ბიჭ-ბუჭები ღებულობდნენ მონაწილეობას ამ საზიზღარ შექცევაში: მხნე და პატიოსანი ვაჭრებიც გაერევიან ხოლმე მოხუცებულის ტანჯვაში; თითქო ღმერთს ეს საცოდავი ადამიანი ამათ სათამაშოდ დატაკია მასხრად გაეჩინოს!.. სასურველია, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ხსენებულს მოხუცს ვინმე მადლიანი და ღვთისნიერი კაცი...

მოვაჭრე.

---

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელს ჩვენს გაზეთში, „სამკურნალო ცნობის“ მერვე სტრიქონში შეცდომით არის დაბეჭდილი: „თქვენს პატივცემულს გაზეთს „ცნობის ფურცელში“... უნდა იყოს: „თქვენს პატივცემულს ჟურნალში“.

---

## წვრილი ამბავი

თორმეტი მცნება ინდოელებისა.

I. ცოლისათვის არა არს ქვეყანად ღმერთი, გარეშე თვისის ქმრისა.

II. ქმარი რაც უნდა ბებერი იყოს, ჩაჩანაკი, გონჯი, მხეცი და ბედოვლათი, ცოლი მაინც მოვალე ცდილობდეს მოეპყრას მას, როგორც თვისს ბატონს და მბრძანებელს, როგორც თვისს ღმერთს.

III. დიაცი გაჩენილია მონად: ქალობაში უნდა ემონებოდეს მამას; ცოლობაში—ქმარს; ქვრივობაში—ვაჟიშვილებს.

IV. ქმრიანი ქალი არ უნდა აქცევდეს ყურადღებას უცხო კაცს, რაც უნდა ლამაზი იყოს იგი სულით და ხორცით.

V. ცოლი არ უნდა დაჯდეს ქმართან სუფრაზედ. იმისაც მადლობელი უნდა იყოს, რომ ქმარი ნასუფრალს მიჰგდებს.

VI. თუ ქმარი იცინის, ცოლმაც უნდა გაიცინოს; თუ ტირის—ცოლმაც უნდა იტიროს.

VII, ყოველმა ცოლმა თვით უნდა მოუმზადოს ქმარს საჭმელი, რომელიც მას უამება.

VIII. თუ ქმარი სადმე წავიდა, ცოლმა უნდა იმარხულოს, ლოგინი მიწაზედ გაიშალოს ხოლმე და არავითარი მოსართავი ნივთები არ ატაროს.

IX. ქმრის გულის მოსაგებად ცოლმა უნდა იბანოს ხოლმე წმინდა, ზაფრანიანს, წყალში, კარგად დაივარცხნოს თმა და შუბლი ლამაზად დაიჭრელოს.

X. ქმარი რომ დაბრუნდება, ცოლი უნდა დახვდეს მხიარული და სრული ანგარიში ჩააბაროს თავისის საქციელისა.

XI ქმარი თუ აგინებს ცოლს, უკანასკნელი უნდა მადლობას აცხადებდეს.

XII, როდესაც ქმარი სცემს ცოლს, მან უნდა აიტანოს ტანჯვა. დაუკოცნოს ხელები და პატიება ითხოვოს.

---

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით უცხადებს ბ.ბ. პატრონებს უძრავის ქონებისას ქ. ტფილისში, რომ ტფილისის ქალაქის საბჭომ 24 მარტს 1897 წლ. დაადგინა: გარდახდეთ ამ მიმდინარე 1897 წელში დამატებული გარდასახადი მამულების დაფასებისა $^1/_8$ პროცენტი, გარდა იმისა, რასაც აქამდის იხდიდნენ $^3/_4$%. ვადად ამ დამატებულ გარდასახადის შემოსატანად დანიშნულია მკათათვე ამა წლისა; ვინც ვადაზედ არ შემოიტანს, მას ეს დამატებული გარდასახადი გარდახდება ჯარიმების ზედ-მითვლით საზოგადო წესით.

ამას გამგეობა დასძენს, რომ აღნიშნული დამატებული გარდასახადი დანიშნული მხოლოდ 1897 წელში და უდრის ერთს მესამე ნაწილს ნახევარ-წლის დასაფასებელ გარდასახადს მამულისას. (3—3).

Боржомскiй стеклянный заводъ
имѣетъ честь довести до свѣдѣнiя, что
**Представительство**
и **ИСКЛЮЧИТЕЛЬНОЕ ПРАВО ПРОДАЖИ,**
издѣлiй завода въ г. Тифлисѣ и его окрестностяхъ передано
**инженерамъ**
**Яралову и Алиханову,**
къ которымъ и проситъ обращатся какъ съ заказами, такъ и за всякаго рода свѣдѣнiями и справками.
**БОРЖОМСКIЙ СТЕКЛЯННЫЙ ЗАВОДЪ**
Управляющiй **Августъ В. Эрксслебенъ.**
Главная контора инженеровъ Яралова и Алиханова помѣщается въ г. Тифлисѣ, на Александровской улицѣ въ собст. домѣ. (Телефонъ № 9); **оптовый же складъ бутылокъ**—въ зданiй г. Долуханова, близъ вокзала, (рядомъ со складомъ винъ Торговаго Дома кн. З. А. Джорджадзе и К°.)

ბორჯომის შუშა-მინის ქარხანა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ ქარხნის ჭურჭელი და სხვადასხვა ნაწარმოები იყიდება განსაკუთრებით
ინჟენერ
იარალოვისა და ალიხანოვის ქარხანაში
ყველანი ამ ქარხანას მიჰმართავენ ყოველგვარ შეკვეთისათვის.
ბორჯომის შუშა-მინის ქარხნის გამგებელი ა. ვ. ერკსლებენ.
(100—34)

## კლიშეები განცხადებისათვის